



ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-81. 8124242001

თარიღი:29/08/2024

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №27

2024 წლის 26 ოქტომბრის მორიგ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაციისათვის) ცაგერის მუნიციპალიტეტში გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-9 ნაწილის და საქართველოს ორგანული კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

- 2024 წლის 26 ოქტომბრის მორიგ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაციისათვის) ცაგერის მუნიციპალიტეტში გამოყოფილ იქნეს შემდეგი შენობა-ნაგებობები და მიმდებარე ტერიტორიები:
 - ა) ქ. ცაგერის კულტურის სახლი და მიმდებარე ტერიტორია.
 - ბ) მწვანე თეატრი.
 - გ) ქ. ცაგერში ლადო ასათიანის სახელობის პარკი.
 - დ) მ. გვიშიანის სახელობის პარკი;
 - ე) ქ. ცაგერში არსებული სკვერები და თავისუფალი ადგილები, სადაც ხელი არ შეეშლება ტრანსპორტით მოძრაობას.
 - ვ) ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი სოფლის ცენტრები, მოედნები, თავისუფალი ტერიტორიები, სოფლის კლუბები და ბიბლიოთეკები.
- განკარგულება გადაეგზავნოს ცაგერის საოლქო საარჩევნო კომისიას.
- ძალადაკარგულად გამოცხადდეს: „2023 წლის 29 აპრილის ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიისათვის (აგიტაციისათვის) ცაგერის მუნიციპალიტეტში გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 თებერვლის №13 განკარგულება.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.ცაგერი, რუსთაველის ქ №69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

